



რევაქცინაცია მრნა-ვაქცინის გამოყენებით (ფაიზერი/ბაიონტექი, მოდერნა)

მრნა-ვაქცინები ძალიან კარგად იცავენ Covid-19 დაავადების მიმე ფორმისგან და ჰოსპიტალიზაციისგან. თუმცა 65 წელს ზემოთ პირებთან ვლინდება, რომ აგრის დაავადებით ეფექტი დროთა განმავლობაში შეიძლება შესუსტდეს. ამ პირებს ეძლევათ რეკომენდაცია, ბოლო აგრიდან 4 თვის შემდეგ გაიარონ რევაქცინაცია. ამ დრომდე არ არის ცნობილი აგრის ეფექტურობის შესუსტება მიმედ ავადობისგან 65 წლამდე პირებში ან ვირუსის ახალი ვარიანტებით ინფიცირების შემთხვევაში. თუმცა, როგორც დაავადების მსუბუქი ფორმით მიმდინარეობის, ისე ვირუსის გავრცელებისგან დაცვა დროთა განმავლობაში ყველა პირთან მცირდება. ამ პროცესის სიჩქარე განსხვავდება ვირუსის სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით. ამიტომაც 16 წლიდან 64 წლამდე ყველა პირს ვურჩევთ რევაქცინაციას.

რა არის რევაქცინაციის მიზანი?

რევაქცინაცია თავისებურად ახსენებს იმუნურ სისტემას დაავადების გამომწვევი პათოგენის შესახებ. ვაქცინის მეშვეობით დაცვის უფრო მაღალი უნარი კვლავ აღდგება და გახანგრძლივდება.

ვისთვის არის რეკომენდირებული რევაქცინაცია?

რევაქცინაცია რეკომენდირებულია Covid-19 მიმე ფორმისგან და ჰოსპიტალიზაციისგან თავის საუკეთესოდ დასაცავად 65 წელს ზემოთ ყველა პირისათვის.

განსაკუთრებით კი:

- 75 წელს ზემოთ პირებისთვის;
- ქრონიკული დაავადებების მქონე 65 წელს ზემოთ პირებისთვის, რომლებთანაც არსებობს Covid-19-ის მიმე ფორმით დაავადების მაღალი რისკი¹ ;
- 65 წლამდე პირებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ მოხუცთა სახლებში ან საჭიროებენ მოვლას თავშესაფრებში და დღის განმავლობაში ხანდაზმულთა მოვლის დაწესებულებებში.

რევაქცინაცია 65 წლამდე პირებთან აძლიერებს დაცვას დაინფიცირებისგან, მსუბუქი ფორმით დაავადებისგან და მათი შედეგებისგან (მაგ. ხანგრძლივი Covid-19-ისგან, შრომისუნარიანობის დაკარგვისგან) და ასუსტებს ვირუსის ცირკულაციას. ამიტომ რევაქცინაცია რეკომენდირებულია ასევე 16-დან 64 წლამდე ასაკის ყველა პირისთვის.

განსაკუთრებით კი:

- ქრონიკული დაავადების მქონე 65 წლამდე პირებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით საფრთხის ქვეშ არიან, როგორც Covid-19 დაავადების მაღალი რისკის¹ჯგუფში მყოფი პირები;
- 65 წლამდე პირებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ მოხუცთა სახლებში ან საჭიროებენ მოვლას თავშესაფრებში და დღის განმავლობაში ხანდაზმულთა მოვლის დაწესებულებებში.
- პაციენტებთან უშუალო კონტაქტში მყოფ ჯანდაცვის პერსონალისთვის და განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი პირების მომვლელი პერსონალისთვის.

რევაქცინაცია რეკომენდირებულია ასევე ორსული ქალებისთვის ფეხმძიმობის მე-2 მესამედიდან და მეძუძური დედებისათვის.

როდის უნდა მოხდეს რევაქცინაცია?

რევაქცინაცია რეკომენდირებულია მრნა-ვაქცინით სრულყოფილი პირველადი ვაქცინაციიდან 4 თვის შემდეგ. პირველადი ვაქცინაცია სრულყოფილად ითვლება:

¹ ცხრილი 2, გვ. 11 მრნა-აგრის რეკომენდაცია: დაავადების განმარტება მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ქრონიკულად დაავადებული პირებისთვის (გერმანულად)

- მრნა-ვაქცინით ორჯერადად აგრის შემდეგ; ან
 - კორონავირუსით დადასტურებული ინფექციის შემდეგ + მრნა-ვაქცინის დოზა მინიმუმ 4 კვირის შუალედში (თანმიმდევრობისგან განურჩევლად).
- თუ მრნა-ვაქცინით სრულყოფილი პირველადი ვაქცინაციის შემდეგ კორონავირუსით ინფიცირება დადასტურდა, მოქმედებს შემდეგი წესი:
- პირველადი ვაქცინაციის შემდეგ 4 თვის განმავლობაში ინფიცირების შემთხვევაში რეკომენდირებულია რევაქცინაცია დაინფიცირებიდან 4 თვეში.
 - პირველადი ვაქცინაციის შემდეგ, 4 თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ ინფიცირების შემთხვევაში წესით რევაქცინაცია საჭირო არ არის.

რომელი ვაქცინით და რა დოზით კეთდება რევაქცინაცია?

რევაქცინაციის დროს შეძლებისდაგვარად გამოიყენება იგივე ვაქცინა, რითაც პირველადი აცრა ჩატარდა. თუკი ის ხელმისაწვდომი არ არის, მისი ჩანაცვლება შესაძლებელია სხვა მრნა-ვაქცინით. თუ პირველადი ვაქცინაცია სხვადასხვა მრნა-ვაქცინით მოხდა, რევაქცინაციისთვის შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას რომელიმე მათგანი. როგორც პირველადი ვაქცინაციის დროს ასევე რევაქცინაციის დროს უმჯობესია, თუ 30 წლამდე პირების აცრა მოხდება ფაიზერი/ბაიონტექით.

ფაიზერი/ბაიონტექით რევაქცინაციის შემთხვევაში კეთდება იგივე დოზა, როგორც პირველადი ვაქცინაციის დროს. მოდერნით რევაქცინაციის შემთხვევაში კი კეთდება ნახევარი დოზა.

სად შემიძლია აცრა გავიკეთო?

რევაქცინაციაზე პასუხისმგებელი არიან კანტონები. რეგისტრაციისა და ვაქცინაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ თქვენს კანტონის ვებგვერდს (www.bag-coronavirus.ch/kantone) ან დარეკეთ ინფო-ხაზზე ან მიმართეთ თქვენს ექიმს ან აფთიაქარს.

ყველა დანარჩენი ინფორმაცია, რომელიც რევაქცინაციას ეხება, არის იგივე, რაც პირველადი ვაქცინაციის დროს და შეგიძლიათ გაეცნოთ საინფორმაციო ბუკლეტის მეშვეობით „Covid-19 საწინააღმდეგო მრნა-ვაქცინასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია“.